პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 97 (2460) ◉ სამშაბათი, 19 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე კონფერენციის მონაწილეებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის ყველა მუშაკს.

პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ფიზკულტურამ და სპორტმა ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო გაქანებას მიაღწიეს და ხალხის ფართო მასების ნამდვილ კუთვნილებად იქცნენ. საბჭოთა სპორტსმენები ამ მზრუნველობას უპასუხებენ ახალი გამარჯვებებით საერთაშორისო შეჯიბრებებზე. დიდი და ღირსშესანიშნავი წარმატებები აქვთ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს და მათ შორის საქართველოს სპორტსმენებს.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა უნდა იბრძოლონ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურის ფართოდ დანერგვისათვის, გამუდმებით უნდა სრულყოფდნენ სპორტულ ოსტატობას, ამაღლებდნენ სპორტსმენთა შორის იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დონეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების მეორე კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს სპორტკავშირის მეორე კონფერენცია





რესპუბლიკის სპორტსმენთა და ფიზკულტურული კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლები გუშინ შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, რათა განეხილათ ჩატარებული მუშაობის ღირსება-ნაკლოვანებები და დაესახათ მომავლის საბრძოლო გეგმები.

კონფერენციის დაწყებამდე და შესვენების დროს დელეგატები ეცნობოდნენ დერეფნებში მოწყობილ სპორტულ სტენდებს და გამოფენას, იძენდნენ მხატვრულ და სპორტულ ლიტერატურას.

სურათებზე: ზევით — ჩოგბურთელი ი. ერმოლოვა და მოჭიდავე ნ. ხოხაშვილი ათვალიერებენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველ სპორტსმენთა მიერ მოხვეჭილ „ნადავლს". ქვევით — სსრ კავშირის III სპარტაკიადის ჩემპიონი, ველომრბოლელი ო. ფხაკაძე სპორტული ლიტერატურის დახლთან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მეორე რესპუბლიკური

18 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის II კონფერენცია.

მქუხარე ტაშის გრიალში კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს ანგარიშით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. დელეგატებმა მოისმინეს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მ. კლდიაშვილის ანგარიში.

შემდეგ გაიმართა კამათი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. როდიონოვი. მან აგრეთვე წაიკითხა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება კონფერენციისადმი.

დელეგატებმა საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში ჩათვალეს დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგემ ი. ზუბკოვმა, საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. დოლიძემ, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ.

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პირველ პლენუმზე არჩეულ იქნა საბჭოს პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულია გ. სიხარულიძე, მოადგილეებად — ლ. სანაძე, რ. მეტრეველი, ი. ჩოჩია; პრეზიდიუმის პასუხისმგებელ მდივნად — თ. მანაგაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — მ. კლდიაშვილი.

კონფერენციის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

## კონფერენციის ტრიბუნიდან

**გ. მეყანწიშვილი,**
გორის სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე



ბევრი რამ შეიძლება ითქვას ქალაქ გორის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაზე, რომელშიც 6 ათასზე მეტი მშრომელია ჩაბმული, რომლის მძლავრ მაჯისცემას ერთგულად უბამენ მხარს ისეთი მოწინავე კოლექტივები, როგორიცაა პედაგოგიური ინსტიტუტი, ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, „გორიხელსაწყო" და სხვ.

მაგრამ ამჯერად გვსურს გამოვყოთ საკითხი, რომელსაც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ქმედითი ხასიათი აქვს გორში გაშლილი სპორტული მუშაობის გამიზნულობაში. რა თქმა უნდა, ეს ერთი წუთითაც არ გულისხმობს ფიზკულტურული მოძრაობისა და სხვა სახეობებისადმი ყურადღების შენელებას, მაგრამ მაინც ჩვენ საგანგებოდ გვახსოვს ერთი საამაყო, ტრადიციული ფაქტორი: გორი ყოველთვის იყო გამოჩენილ ფალავანთა სამშობლო და ამ ტრადიციის უგულვებელყოფა, მისი შემდგომი განვითარებისთვის ღალატი ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა.

გორის სპორტული საზოგადოებრიობა კვლავაც განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით შემოსავს ქართულ ჭიდაობას, ამ ეროვნულ სახეობას, რომელიც ჭიდაობის სხვა სახეობებშიც არაერთი ბრწყინვალე სპორტსმენის აღზრდის საფუძველი გამხდარა. ეს უკვე ნაცადი გზაა, რომელმაც საკავშირო და საერთაშორისო სპორტის ფართო სარბიელზე გაიყვანა კერძოდ, გორიდან — ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან ა. ქიბროწაშვილი, დ. ბერუაშვილი, ბ. ბალკაშვილი და სხვები.

---

**გ. ყარალაშვილი,**
რუსთავის სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარე



რუსთავი ინდუსტრიული ქალაქია და მისი სპორტული საზოგადოებრიობაც ცდილობდა დამკვრელური ტემპებით შეხვედროდა კონფერენციას. თუ რამდენად შევძელით ეს, ილაპარაკონ თვით ფაქტებმა: 1963 წლისათვის ქალაქის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა გადაჭარბებით შეასრულეს არა მხოლოდ ამ წლის, არამედ მთლიანად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები. თუ 1962 წლამდე თვით რუსთავში, მისი არსებობის მანძილზე, მომზადდა მხოლოდ 1 სპორტის ოსტატი, 1962-1963 წლების პერიოდში აქ აღიზარდა 13 ახალი ოსტატი. ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმულია ქალაქის მოსახლეობის 20,4 პროცენტი და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების 23 პროცენტი. რუსთავის მოსწავლეთა 36 პროცენტი თანრიგოსანი სპორტსმენია. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სპორტსმენთა 92 პროცენტი, დაზგასთან დგას იგი, დაწესებულებაშია, თუ სხვაგან, ეუფლება საშუალო ან უმაღლეს განათლებას.

ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ ისე არ გვინდა წარმოვადგინოთ საქმე, თითქოს ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის თვალსაზრისით ჩვენთან ყველაფერი წესრიგზეა. საჭიროა კიდევ უფრო დიდი მასობრიობა. საჭიროა საწარმოო ტანვარჯიშის ქმედითი და ფართო დანერგვა რუსთავის ყოველ საწარმოსა და დაწესებულებაში. საჭიროა, რომ ჩვენი ქალაქი სულ უფრო და უფრო მეტ სახეობაში წარმოდგეს მაღალი სპორტული „რანგით" როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ასპარეზზე.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით აუწყებენ ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს, მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომ 1964 წლის 17 მაისს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოტო ვილჰელმის ძე კუუსინენი — 83 წლისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1904 წლიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, დიდი ლენინის ერთგული მოწაფე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი.

| | | |
|---|---|---|
| სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო |

## სპორტული საათი...

**ბერლინი.** აქ ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა მოცურავეების ამხანაგური შეხვედრა.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ქალთა შორის ბრწყინვალედ გამოვიდა გალინა პროზუმენშჩიკოვა. მან დისტანცია დაფარა 2 წუთსა და 45,4 წამში. ეს შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია. ძველი მსოფლიო მიღწევა, რომელიც ასევე პროზუმენშჩიკოვას ეკუთვნოდა, გაუმჯობესებულ იქნა 2,3 წამით.

ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა სსრ კავშირის ნაკრებმა კომბინირებულ ამანათცურვაში 4×100 მ. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. მაზანოვი, გ. პროკოპენკო, ვ. კუზმინი და ვ. სემჩენკოვი, აჩვენა 4.02,8 (გფრ-ის მოცურავეთა ძველი ევროპული რეკორდი უდრიდა 4.07,6).

**ალჟირი.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია ა. დმიტრიევამ. ჩეხოსლოვაკელ ი. იავორსკისთან ერთად მან მოიგო პირველი ადგილი შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში. ინტერნაციონალურმა წყვილმა დაამარცხა საფრანგეთის დუეტი — ფ. დიური და ა. ბრესონი (2:6, 6:3, 6:4). დმიტრიევა უძლიერესი იყო ერთეულთა შეხვედრებშიც. ფინალში მან მოუგო ფრანგ დიურს, რომელთანაც შარშან უიმბლდონის ტურნირზე წააგო.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა იავორსკიმ.

**სოფია.** ბულგარეთის დედაქალაქის ჩემპიონატზე მსუბუქი წონის ძალოსანმა ბოგომილ პეტროვმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 140 კგ აჭიმა, რაც საბჭოთა ძალოსნის ს. ლოპატინის რეკორდზე 0,5 კგ-ით მეტია.

**ოზერკოფი.** შედგა მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის VIII ეტაპი. დაყოფილი სტარტით 45 კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენმა ი. სმოლიკმა (მან უკვე მესამე ეტაპი მოიგო აღნიშნულ რბოლაში). საბჭოთა ველომრბოლელები VI ადგილზე გამოვიდნენ.

**დიუსელდორფი.** 17 მაისს დევისის თასზე გფრ-ისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ტურნირში გაიმართა წყვილთა შეჯიბრება (წინადღით, როგორც ვიუწყებოდით, გერმანელებმა გაიმარჯვეს ერთეულთა ორ შეხვედრაში). ლეიუსმა და ლიხაჩოვმა მოუგეს ბუნგერტსა და კუნკეს — 4:6, 6:3, 6:3, 6:3. გუშინ, შეჯიბრების დასკვნით დღეს, ერთმანეთს შეხვდნენ ლეიუსი—კუნკე და მეტრეველი—ბუდინგი. ჩვენები დამარცხდნენ.

**ტაპიოლა** (ჰელსინკის გარეუბანი). საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ჩაატარა მეოთხე შეხვედრა ფინეთის ეროვნულ ნაკრებთან. გამარჯვება ამჯერადაც ჩვენ სპორტსმენებს დარჩათ — 65:55 (32:28).

**შანხაი.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამ ქალაქში გამოვიდნენ საბჭოთა მოფარიკავეები. პეკინში მათ ურთიერთშორის გამართეს საჩვენებელი ბრძოლები, შემდეგ კი შეხვდნენ მასპინძლებს. ნანკინში ყველა პირველი ადგილი დაიკავეს სტუმრებმა, მხოლოდ შანხაიში ხმლით ფარიკაობაში გაიმარჯვა ახალგაზრდა ჩინელმა აი და-ციუნმა. ბოლო ტურნირში გაიმარჯვეს მინსკელმა ს. ბარანოვამ, თბილისელმა ი. ოსიპოვმა (რაპირა) და მოსკოველმა ვ. ბაზარევიჩმა (დაშნა).

**მადრიდი.** გასულ კვირას აქ ზეიმით აღნიშნეს ესპანეთის კალათბურთის 50 წლისთავი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელი მფლობელის — ადგილობრივი „რეალის" წინააღმდეგ გამოვიდა ევროპის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რუმინელი, პოლონელი, ფრანგი, იტალიელი და ფინელი სპორტსმენები. ასეთი ნაკრები კალათბურთში პირველად შედგა ფეხბურთელთა მიბაძვით. გაიმარჯვა ევროპის ნაკრებმა — 91:87.

## სპარტაკიადები [illegible]

### ბ ა თ უ მ ი

„დინამოს" სტადიონზე დამთავრდა ქალაქის მოსწავლეთა XV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე ჭაბუკმა და ქალიშვილმა. აქედან 126-მა ფიზკულტურელმა სათანრიგო ნორმატივი აჩვენა. 100 და 200 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის კარგი შედეგები ჰქონდა მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლეს ნ. ნევეროვას (შესაბამისად 13,0 და 27,6). წარმატებით გამოვიდა მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლე ქ. თოთიბაძე, რომელმაც მრავალჭიდში საბოლოოდ 3.738 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა.

მძლეოსნობაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მე-8 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე არიან მეხუთესკოლელები, ხოლო მესამეზე — მე-3 საშუალო სკოლის გუნდელები.

სპორტის ამ სახეობაში ასპარეზობით ამოიწურა სპარტაკიადის პროგრამა. შედეგების შეჯამებამ გაარკვია ჩემპიონი: მე-3 საშუალო სკოლის კოლექტივი (ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. მჟავია), მეორე ადგილზე არიან მე-5 საშუალო სკოლის სპორტსმენები, მესამეზე — მე-15 საშუალო სკოლის კოლექტივი.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა ქალაქის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, რომელიც უახლოეს დღეებში ჩაებმება აჭარის მოსწავლეთა სპარტაკიადის შეჯიბრებებში.

**ა. ქებაბჩიანი**

### მ ე ს ტ ი ა

ახლახან ჩატარდა რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა რვა სკოლის 300-ზე მეტი მოსწავლე. ისინი პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ჭიდაობაში.

ფრენბურთში როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის, გაიმარჯვეს სოფელ ბეჩოს საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდებმა.

ქართულ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა სოფელ ლენჯერის სასოფლო საბჭოს ნაკრებმა გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ს. აფრასიძე, გ. პირველი, შ. ქალდანი, ი. გიგანი, კ. გულედანი, ტ. ნავერიანი, ი. ჭელიძე და ო. ჯაფარიძე.

მძლეოსნობაში 100 მეტრზე რბენაში ჭაბუკებს შორის შედარებით კარგი შედეგი — 11,6 წამი აჩვენა რ. გვარლიანმა.

სპარტაკიადის [illegible] გების მიხედვით გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა მესტიის საშუალო სკოლის გუნდს. მეორე ადგილზე გამოვიდა სოფელ მულახის საშუალო სკოლა, მესამეზე — სოფელ ჭუბერის საშუალო სკოლის ფიზკულტურელები.

**ლ. ჩართოლანი**

### ყ ა ზ ბ ე გ ი

ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და ტყვიით სროლა.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ყაზბეგის საშუალო სკოლის კოლექტივმა.

8-წლიანი სკოლებიდან გამარჯვება წილად ხვდა სოფელ არშის სკოლის გუნდს.

**შ. მარსაგიშვილი**

## სტუდენტთა თამაშები

# უნივერსიტეტელთა წარმატება



გორში დამთავრდა სტუდენტთა მესამე საზაფხულო რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა — შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. გუნდური პირველობა თამაშდებოდა ცალცალკე ქალთა და ვაჟთა გუნდებისთვის. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, გაიმარჯვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებმა. მეორე საპრიზო ადგილი ქალთა გუნდებში წილად ხვდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, ხოლო ვაჟთა შორის—საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. გორის პედინსტიტუტის სპორტსმენები მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ ორივე გუნდით.

პირად ჩათვლაში ოსტატ ქალთა შორის საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: ჟ. ქაჯაია (თსუ) — 73,1, ი. რომელაშვილი (თბილისის პედინსტიტუტი) — 72,6 და მ. ბანძელაძე (ქუთაისის პედინსტიტუტი) — 71,05 ქულა.

ოსტატ ვაჟთა შორის გაიმარჯვა უნივერსიტეტის სტუდენტმა ყ. ღუდუშაურმა — 107,05 ქულა. მისი თანაგუნდელი და წინა თამაშების ჩემპიონი გ. მეტრეველი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი კ. გელოვანი.

ოსტატობის კანდიდატებში ქალთა შორის უძლიერესი იყო ნ. ნარეკლიშვილი (თბილისის პედინსტიტუტი) — 69,35, ხოლო ვაჟებში — ს. სხირტლაძე (თსუ) — 104,2 ქულა.

პირადი პირველობა გათამაშდა ცალკეულ იარაღებზეც. ქალთა შორის თავისუფალი ვარჯიში და ხტომები მოიგო ჟ. ქაჯაიამ, ორძელზე გამარჯვებული გამოვიდა ი. რომელაშვილი, დვირზე — ი. მახარაძე (თსუ). ვაჟებში ორძელზე და ტაიჭზე უძლიერესი იყო ყ. ღუდუშაური, ძელზე და თავისუფალ ვარჯიშში — გ. მეტრეველი, ხოლო ხტომებში და რგოლებზე — კ. გელოვანი.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ დაწესებული იყო სპორტის ოსტატ ჯემალ ფრიდონიშვილის სახელობის გარდამავალი თასი შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივისთვის. მისი პირველი მფლობელი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა ძლიერი კოლექტივი.

**ო. ქორქია,**
**სპორტის ოსტატი.**

## ჩემპიონები...
## უბრძოლველად



სტუდენტ მოკრივეთა ტურნირში ბევრი რამ იყო კურიოზული. ჯერ ერთი, გუნდების სიმცირე. პირველობისათვის იბრძოდა მხოლოდ 3 უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები). ასე რომ, ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე სამივე კოლექტივს საპრიზო ადგილი გარანტირებული ჰქონდა. გაიმარჯვეს უნივერსიტეტის მოკრივეებმა, რომელთაც სულ მცირეთი ჩამორჩა მეორე ადგილზე გამოსული ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი.

ანეგდოტური იყო ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ წონაში მოკრივეებს პირველი ადგილი უბრძოლველად მიეკუთვნათ. ასე მაგალითად, მ. მამამთავრიშვილმა და ლ. მნაცაკანოვმა (ორივენი — უნივერსიტეტიდან) სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის წოდება ისე მოიპოვეს, რომ ერთხელაც არ გამოსულან რინგზე. მიზეზი აქაც იგივეა — მონაწილეთა სიმცირე.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაისაკუთრეს: რ. რატიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ლ. მნაცაკანოვმა, რ. მუკოიანმა, გ. ხორნაულმა (ყველანი — უნივერსიტეტიდან), ვ. ცერცვაძემ, პ. ხუბეჟოვმა, ო. ზებულაშვილმა (ყველანი — ფიზკულტურის ინსტიტუტიდან), მ. მამამთავრიშვილმა, ა. ფროლოვმა (ორივენი — უნივერსიტეტიდან), ნ. ამაშუკელმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

აღსანიშნავია, რომ ტურნირი, რომელიც ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ჩატარდა, ცუდად იყო რადიოფიცირებული.

**ე. ქელბაქიანი**

## 68 : 36, 52 : 32



დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების ტურნირი. ფინალის უკანასკნელ დღეს გაიმართა ორი შეხვედრა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა დაამარცხეს უნივერსიტეტის სტუდენტები — 68:36. სოხუმისა და გორის პედინსტიტუტების შეხვედრაში გაიმარჯვეს სოხუმელებმა — 52:32.

სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.



**ს უ რ ა თ ზ ე:** 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ბათუმელი ნ. ნევეროვა ფინიშთან.

ფოტო ავტორისა.

# ორი სენსაცია

ფინალური შეხვედრა თბილისის პირველობაზე... კორტზე ორი ჩოგბურთელი დადგა ერთმანეთის პირისპირ — ნ. მძინარიშვილი და გ. ახალაძე. მძინარიშვილს, როგორც ჩანს, კარგად ახსოვს საგაზაფხულო ტურნირში თავისი ამასწინანდელი მარცხი ახალაძესთან და ალბათ ამიტომ თავიდანვე შეტევაზე გადადის. იგი იმარჯვებს პირველ პარტიაში (6:4), შემდეგ მეორეში (6:2), მაგრამ წამოვიდა წვიმა და... პარტია შეწყდა მაშინ, როცა ანგარიში ახალაძის სასარგებლოდ იყო — 4:3.

მეორე დღეს ახალაძემ გამარჯვებამდე არა მარტო ეს პარტია მიიყვანა (6:3), არამედ მომდევნო ორიც — 6:4, 7:5 — და საბოლოოდ გაიმარჯვა — 3:2.

მაყურებელმა ის-ის იყო გადაიტანა ერთი სენსაცია, და მას მეორე მოჰყვა. ქალთა ერთეულების ფინალში რ. აბჟანდაძემ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგბურთელი ი. ერმოლოვა და თბილისის ჩემპიონობა დაისაკუთრა.

ქალთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ რ. აბჟანდაძე და ნ. თუხარელი, ვაჟთა წყვილებში—გ. ახალაძე და ვ. გოგლიძე, შერეულ წყვილებში — ი. ერმოლოვა და ა. ვერულავა.





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** რ. აბჟანდაძე და გ. ახალაძე თამაშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

# პირველიდან უკანასკნელ ეტაპამდე

გასულ კვირას დილიდან წვიმდა, ასე რომ სპორტსმენებს არახელსაყრელ ამინდში მოუხდათ ყველა 15 ეტაპის გარბენა, რამაც საგრძნობლად იმოქმედა შედეგებზეც — გასული წლის მაჩვენებელი გაუარესდა 4.08,1 წუთით (ტრასის სიგრძეა 7.400 მ).

ბრძოლა ყველა ეტაპზე მეტად დაძაბული იყო და ძალზე საინტერესოდ წარიმართა.

23 გუნდის საუკეთესო ძალები პირველსავე ეტაპზე (ლენინის მოედანი — ბარათაშვილის მოედანი) ჩაებნენ ბრძოლაში. აქ თავი ისახელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ტ. ბახტაძემ. მეორე ეტაპიდან თანდათან გამოჩნდა ბაქოელი მძლეოსნების კარგი მომზადება. ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ ყოველი მეტრისთვის. მეორე ეტაპის ფინიშზე პირველი მივიდა ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ბ. ეფენდიევი, მესამე ეტაპზე კი ლიდერობა ხელთ იგდო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველგუნდელმა ს. ავიძბამ. შემდეგ ეტაპზე მისმა თანაგუნდელმა თ. როჟმანოვამ წააგო ბაქოელ რ. ზოტოვასთან და შეჯიბრებას სათავეში კვლავ სტუმრები ჩაუდგნენ. მათ ეს უპირატესობა ორ ეტაპზე შეინარჩუნეს. შემდეგ ისევ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი დაწინაურდა. მაგრამ ბაქოელები იარაღის დაყრას არ აპირებდნენ. VIII ეტაპზე (მარჯანიშვილის მოედანი — კინოთეატრი „ამირანი") თბილისელმა ა. ერიბეკოვმა ბაქოელ შ. ისმაილოვთან ბრძოლაში დაკარგა უპირატესობა, მაგრამ მცირე ხნით. IX ეტაპიდან კვლავ წინ გავიდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I გუნდის სპორტსმენები და ბოლო ეტაპის სტარტზე გამოსულმა ნ. ნოზაძემ წარმატებით დაასრულა 14 თანაგუნდელის გამარჯვებამდე მიყვანილი საქმე (გუნდის დროა 17.39,2). მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები—17.48,0. მესამე ადგილზე არიან ბაქოს ნავთობის ინსტიტუტის მძლეოსნები — 18.49,0.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიებისადმი უფრო დიდი დაინტერესება გამოიჩინეს ბაქოს უმაღლესმა სასწავლებლებმა, ვიდრე ჩვენი დედაქალაქისა, რომლის მხოლოდ სამი უმაღლესი სასწავლებელი — ფიზკულტურის, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები გამოვიდნენ შეჯიბრებაზე.

II, III და IV ჯგუფებში გაიმარჯვეს 26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტული სკოლის, სპორტკლუბ „განთიადისა" და არმიელმა მძლეოსნებმა.

**ო. გელაშვილი**

* * *

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პრიზის გათამაშება მძლეოსნურ ამანათრბენში „თბილისის რკალი", რომელიც ყოველწლიურად მაისში ქალაქის ქუჩებში იმართება.

წელს ამ შეჯიბრების პრიზს თბილისელებს, ისევე როგორც შარშან, სტუმრებიც ეცილებოდნენ — ბაქოდან ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის ფიზკულტურის, პედაგოგიური და ნავთობის ინსტიტუტების მძლეოსნები. თბილისელთაგან 20-მა კოლექტივმა გამოთქვა ბრძოლის სურვილი. ცხადია, ყველა მათგანს ჰქონდა ერთი მიზანი — მთავარი პრიზის მოპოვება, აგრეთვე ჯგუფში უძლიერესის სახელის დასაკუთრება. ასეთი ჯგუფი კი ოთხი იყო.



**ს უ რ ა თ ზ ე:** „თბილისის რკალის" ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

# თბილისი — ტაგანროგი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სამ დღეს გრძელდებოდა საქალაქთაშორისო შეხვედრა ტაგანროგის ქარხანა „კრასნოკოტელშჩიკისა" და ადგილობრივი „განთიადის" ფრენბურთელთა შორის.

პირველ დღეს სტუმრების ვაჟთა გუნდი „მშრალად" (0:3) დამარცხდა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული საკონსტრუქტორო ბიურო კოლექტივთან შეხვედრაში. ასეთივე ანგარიშით წააგო მატჩი სტუმარ ქალთა კოლექტივმა ჩვენი „ფეიქრის" გუნდთან.

მეორე დღეს გამართულმა თამაშებმა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის კვლავ მასპინძელთა უპირატესობა გამოავლინა. ტაგანროგელი სპორტსმენი ქალები კვლავ „ფეიქართან" დამარცხდნენ (1:3). დაძაბულად მიმდინარეობდა ტაგანროგელი ვაჟი ფრენბურთელების შეხვედრა „ფეიქართან" (2:3).

მესამე დღეს სურათი მთლიანად შეიცვალა. თბილისის „განთიადის" როგორც ქალთა, ისე ვაჟთა კოლექტივები დამარცხდნენ. განთიადელმა ვაჟებმა წააგეს ანგარიშით 0:2, ხოლო ქალებმა — 1:2.

**ი. ხაზეიშვილი**

# ნ ო რ ჩ ი
# მ ო შ ა შ ე ე ბ ი

საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ქალაქის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა შაშში. თვითეულ გუნდში იყო სამი ჭაბუკი და ორი გოგონა. ტურნირში, რომელიც შვეიცარული სისტემით მოეწყო, პირველობა დაისაკუთრეს მე-3 საშუალო სკოლის მოშაშეებმა, მეორე ადგილი წილად ხვდა მე-6 საშუალო სკოლის გუნდს.

დაძაბულად მიმდინარეობდა პირადი ტურნირები გოგონებსა და ჭაბუკთა შორის. გოგონებს შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა დ. ცერცვაძემ, ხოლო ჭაბუკთა შორის — ნ. თავაძემ.

**ე. მენაბდიშვილი**

გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის მინდვრებზე

## „ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 19 მაისისთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 5 | 2 | 2 | 11—3 | 12 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9 | 5 | 2 | 2 | 14—8 | 12 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 9 | 4 | 4 | 1 | 9—4 | 12 |
| „დინამო“ (თბილისი) | 10 | 5 | 2 | 3 | 14—9 | 12 |
| „დინამო“ (კიევი) | 10 | 3 | 5 | 2 | 9—8 | 11 |
| სკა (როსტოვი) | 9 | 5 | 0 | 4 | 14—8 | 10 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 10 | 3 | 4 | 3 | 8—11 | 10 |
| „დინამო“ (მინსკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—5 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 9 | 2 | 5 | 2 | 4—5 | 9 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 3 | 2 | 3 | 11—8 | 8 |
| ცსკა | 8 | 2 | 4 | 2 | 5—7 | 8 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 9 | 2 | 4 | 3 | 8—10 | 8 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 9 | 3 | 2 | 4 | 4—8 | 8 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 9 | 2 | 4 | 3 | 6—11 | 8 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 2 | 2 | 5 | 10—12 | 6 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 10 | 2 | 2 | 6 | 5—15 | 6 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—12 | 5 |

„შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0 : 1
„დინამო“ (მოსკოვი) — „ვოლგა“ (გორკი) 0 : 1
„დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0 : 3
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 2 : 1
„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „დინამო“ (კიევი) 1 : 0
„კაირატი“ (ალმა-ატა) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1 : 0

## მოულოდნელი ანგარიშით

როსტოვი. „როსტსელმაშის“ სტადიონი. 17 მაისი.

სკა (როსტოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 7:0 (3:0).

„ტ ო რ პ ე დ ო“: ურუშაძე (კვასხვაძე), ლოსაბერიძე, თორაძე, სიამაშვილი, ნიშნიანიძე, კუტივაძე (ისიანი), მუმლაძე, სირაძე, მელაშვილი, ჩხარტიშვილი, ხაუალია.

ს კ ა: გლუხოტკო (ივანოვი), გეტმანოვი, ჩერტკოვი, ლინიაევი, აფონინი, შიკუნოვი, ანდრიენკო, კოპაევი, მამიკინი (ესკოვი), პონედელნიკი, დორონინი.

მსაჯი: ა. ვასილიევი (ხარკოვი).

ორივე გუნდის ხელმძღვანელობამ მატჩის მსვლელობაში შეცვალა მეკარეები, მაგრამ თუ როსტოველებმა ეს გააკეთეს იმის გამო, რომ თითქმის უსაქმოდ მყოფი გლუხოტკოს გარდა თამაში მიეცათ ივანოვისთვისაც, „ტორპედოს“ მწვრთნელები იძულებული იყვნენ მინდვრიდან გაეყვანათ ურუშაძე, რომელიც ძალზე სუსტად თამაშობდა.

პირველი ბურთი, რომელიც უკვე მე-6 წუთზე გაიტანა პონედელნიკმა, ასე თუ ისე შეიძლება ეპატიოს მეკარეს, მაგრამ მეორე და მესამე გოლები (ავტორები — მამიკინი და იგივე პონედელნიკი) მთლიანად ურუშაძის უხეში შეცდომების შედეგია.

საქმეს ვერ უშველა ურუშაძის შეცვლამ კვასხვაძეთი. ქუთაისელთა დაცვაში სრული აღრევა სუფევდა და თავდამსხმელებიც მეტისმეტ ინერტულობას იჩენდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე ბრძოლისას.

არმიელებმა პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცეს შესვენების შემდეგ. 66-ე წუთზე შიკუნოვმა მინდვრის სიღრმიდან განახორციელა რეიდი და მეოთხე ბურთი გაიტანა, ხოლო ანდრიენკომ მალე კიდევ ერთხელ აიძულა ქუთაისელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ეს გამანადგურებელი ანგარიში თავისებურად „დაამრგვალა“ კოპაევმა, რომელმაც მატჩის ბოლო წუთებზე ზედიზედ ორი ბურთი გაგზავნა ტორპედოელთა კარში — 7:0!

ასეთი ანგარიში დიდი ხანია არ ყოფილა ფიქსირებული „ა“ კლასში.

• • •

ამავე გუნდების დუბლიორებმა ითამაშეს ფრედ — 1:1.

**რ. კოზაჩეკი**

როსტოვი. (ტელეფონით).



ხაფრანგეთში სტუმრად იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც საერთაშორისო მატჩში შეხვდა მასპინძელთა ნაკრებს. როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ. პ. ასტახოვამ მრავალჭიდში დააგროვა 78,05 ქულა და დიდი სხვაობით გაუსწრო უახლოეს კონკურენტებს.

ს უ რ ა თ ზ ე: დვირზეა პოლინა ასტახოვა.

## „ა“ კლასი

გათამაშების ცხრილი
II ჯგუფი, II ქვეჯგუფი
მდგომარეობა 19 მაისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 8 | 6 | 2 | 0 | 10—1 | 14 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 9 | 5 | 2 | 2 | 10—9 | 12 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 9 | 4 | 2 | 3 | 15—10 | 10 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 8 | 5 | 0 | 3 | 10—7 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 8 | 3 | 3 | 2 | 10—7 | 9 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 9 | 3 | 3 | 3 | 7—6 | 9 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 9 | 3 | 3 | 3 | 6—6 | 9 |
| „არარატი“ (ერევანი) | 9 | 3 | 3 | 3 | 7—7 | 9 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 9 | 3 | 2 | 4 | 7—8 | 8 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 9 | 3 | 2 | 4 | 10—13 | 8 |
| „დინამო“ (ტალინი) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—7 | 7 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—6 | 6 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 8 | 2 | 1 | 5 | 5—10 | 5 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 9 | 1 | 2 | 6 | 7—19 | 4 |

მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის გაიმართა განვლილ კვირას, 17 მაისს. ერევნის „არარატმა“ საკუთარ სტადიონზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ დამარცხება — 1:0. ვოლგოგრადის „ტრაქტორმა“ კიდევ ერთი ქულა დაკარგა ლვოვის „კარპატთან“ მატჩში — 0:0. „ურალმაშმა“ (სვერდლოვსკი) დაამარცხა „ტრუდი“ (ვორონეჟი) — 2:0, „სპარტაკმა“ (გომელი) — „ალგა“ (ფრუნზე) — 1:0.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ყარაგანდის „შახტიორი“. მატჩის შედეგი 1 : 1.

## ტრადიცია გრძელდება

დონეცკი. „შახტიორის“ სტადიონი. 17 მაისი.

„შახტიორი“ (დონეცკი)—„დინამო“ (თბილისი) — 2:1 (1:0).

„დ ი ნ ა მ ო“: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, ბარქაია, მესხი (აფშევი).

„შ ა ხ ტ ი ო რ ი“: კოროტკიხი, გოლოვკო, სალკოვი, სნეგირიოვი, ალიაბიევი, მიზერნი, სოროკინი, კორშუნოვი (ჟუკოვი), ანანჩენკო, ბაზაკოვი, ხმელნიცკი.

მსაჯი: კ. დემჩენკო (მოსკოვი).

თბილისის „დინამოს“ მეტოქეებმა უკვე კარგად იციან, რომ ეს პირველხარისხოვანი გუნდი ცუდად ატარებს გასვლით მატჩებს. ამიტომ „შახტიორმა“, რომელიც წელს განსაკუთრებული სიძლიერით თამაშობს, პირველივე წუთებიდან გაშალა სწრაფი, ენერგიული შეტევა. ამ დროს განსაკუთრებული დამაჯერებლობით და აქტივობით თამაში მართებდა ლეჟავას, მაგრამ პირიქით მოხდა. თბილისელთა მეკარე ცუდად ურთიერთმოქმედებდა პარტნიორებთან, უდროოდ გამოდიოდა წინ და ხელიდან უშვებდა იოლ ბურთებს. მისი ასეთი ნერვიულობა მალე გადაედო მცველებსაც და „დინამოს“ საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა არევდარევა და სახიფათო სიტუაციები, რომელთა ავტორები იმდენად „შახტიორის“ ფორვარდები არ იყვნენ, რამდენადაც „დინამოს“ მცველები. ყოველივე ამის გამო ღრმა ზურგში დახევა დაჭირდათ თბილისელთა თავდამსხმელებსაც.

მე-12 წუთზე კორშუნოვმა მიიღო ანანჩენკოს გადაცემა, წინ გაიყვანა ხმელნიცკი და მან ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ამის შემდეგ დაიწყო დინამოელთა ხანგრძლივი იერიშები. 35-ე წუთზე ბარქაიას მიერ დარტყმული ბურთის აღება ვერ შეძლო კოროტკიხმა და სალკოვმა თავისი კარი უეჭველ გოლს გადაარჩინა. 55-ე წუთზე იამანიძემ ძელს მოახვედრა ბურთი. სამაგიეროდ, 63-ე წუთზე ანანჩენკომ დრიბლინგით აუარა გვერდი პეტრიაშვილსა და ლეჟავას და მეორე ბურთი გაიტანა.

ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო აფშევმა 81-ე წუთზე, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვალა მესხი.

* * *

პირველი მარცხი განიცადა თბილისის დუბლიორთა გუნდმა — 2:3.

**ა. პლეშევონი.**

დონეცკი. (ტელეფონით).

## „ბ“ კლასი

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის პირველობაზე.

სტავროპოლში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ბურჯაანის „ალაზანი“. მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 1:0.

ორჯონიკიძეში თამაშობდნენ რუსთავის „მეტალურგი“ და ადგილობრივი „სპარტაკი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

### მატჩი გადატანილია

თბილისისა და კიევის „დინამოს“ თანაკლუბელთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე, რომელიც უნდა შემდგარიყო 21 მაისს, გადატანილია 20 ივლისისთვის.

## დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 17 მაისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — 1:0 (1:0).

„მ ე ტ ა ლ უ რ გ ი“: კანანინი, ერმოლენკო, ლუკაშენკო, შჩეგოლიხინი, რუდენკო, ჩისტიაკოვი, იაროვოი (ბალაკონი), სილკინი, კოვალენკო, სოლოვიოვი, ხასინი.

„ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი“: რუხაძე, ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია, იაშვილი, შაფათავა, აპრესიანი, მიროშნიკოვი, ჟორდანია (კაცხიანი), კოშკელოვი.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

ზაპოროჟიელ ფეხბურთელებს ბოლო ტურისთვის 9 ქულა ჰქონდათ აქტივში (IV ადგილი), ამიტომ ისინი მთელი თავიანთი მაქსიმუმით იბრძოდნენ ლიდერთა ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. მაგრამ 2 ქულის აღების აუცილებლობის წინაშე იდგა „ლოკომოტივიც“, ვინაიდან იგი უთანაბრდებოდა „მეტალურგს“ და ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაამჩნია მატჩის სიმწვავეს.

მიუხედავად ნაწვიმარი, „მძიმე“ მინდვრისა, თამაში დასაწყისიდანვე მაღალ ტემპში წარიმართა. პირველი იერიშები წამოიწყეს თბილისელებმა, რომელთა მარჯვენა ფლანგზე ძალზე აქტიურობდა შაფათავა. სწორედ მან მიაწოდა ორჯერ ბურთი კართან და რომ მის პარტნიორებს არ დაეგვიანათ, ანგარიშის გახსნა სავსებით რეალურ საქმეს წარმოადგენდა.

მე-15 წუთზე „ლოკომოტივმა“ გაითამაშა სწრაფი კომბინაცია: ჟორდანია — შაფათავა — აპრესიანი. ამ უკანასკნელის დარტყმა მოიგერია კანანინმა. მაგრამ აპრესიანმა განმეორებითი დარტყმით ბურთი ბადეში გაგზავნა — 1:0.

32-ე წუთზე მიროშნიკოვმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე შაფათავა, რომელმაც ცენტრში გადააწოდა ბურთი. აქ სამი თბილისელი ფორვარდი ერთი მოწინააღმდეგე მცველის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ეს ხელსაყრელი მომენტი არ იქნა რეალიზებული. ტაიმის დასასრულს რუხაძემ შეძლო ხასინის მიერ დარტყმული ძნელი ბურთის აღება, ხოლო მცირე ხნის შემდეგ იმავე ხასინმა ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა.

„მეტალურგმა“ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ძლიერი შეტევები განავითარა მეორე ტაიმის დასაწყისშივე. თბილისელები 20 წუთის განმავლობაში იგერიებდნენ ამ იერიშებს და ჩუბინიძეს ცარიელი კარიდან მოუხდა ბურთის გამოტანა, ხოლო რუხაძემ კუთხურზე მოიგერია კოვალენკოს უძლიერესი დარტყმა.

ლოკომოტიველთა დაცვამ გაუძლო მოწინააღმდეგის ხანგრძლივ დაწოლას. შემდგომში თამაში გათანაბრდა და რკინიგზელთა გუნდმა შეძლო ამ მეტად მნიშვნელოვანი 2 ქულის აღება.

**ო. ჟორდანია,**
თბილისის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე.

# ფეხბურთის მინდვრებზე

## წარმატებები და წარუმატებლობანი ბულგარეთში

სტარა-ზაგორა (ბულგარეთი). 10 ქვეყნის 130 მოჭიდავე მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 17 მაისს დამთავრდა ბულგარეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის სტადიონზე. სსრ კავშირი ამ შეჯიბრებაში წარმოდგენილი იყო ორი გუნდით. თავისუფალ ჭიდაობაში გამოდიოდა საქართველოს, ხოლო კლასიკურში — საბჭოთა ნაკრები გუნდები.

წარმატებით ჩაატარეს ტურნირი კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. პირველი ადგილები დაისაკუთრეს სსრკ ჩემპიონმა ბაქოელმა ა. საიადოვმა (მჩატე წონა), სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისელმა რ. რურუამ (ქვემსუბუქი წონა), მსოფლიო ჩემპიონებმა, მოსკოველმა მოჭიდავეებმა გ. საპუნოვმა (მსუბუქი წონა) და ა. კოლესოვმა (ქვესაშუალო წონა), აგრეთვე ნოვოკუზნეცკელმა ვ. ოლეინიკმა (საშუალო წონა) და კიროველმა ნ. შმაკოვმა (მძიმე წონა).

მეორე ადგილებზე გამოვიდნენ ო. ეგაძე, რომელმაც წააგო ფინალური შეხვედრა თავის თანაშემამულესთან რ. რურუასთან, და მოსკოველი ვ. ანისიმოვი (ქვემძიმე წონა).

წარუმატებლობით აღინიშნა ქართველ სპორტსმენთა გამოსვლები თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი ადგილი გუნდის მხოლოდ ერთმა წევრმა — თ. ხითარიშვილმა (ქძიმე წონა) დაიკავა. მეორე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ს. ქარსაულიძეს (ქვემსუბუქი წონა) და შ. ლომიძეს (საშუალო წონა), მესამე ადგილები — ნ. გაჩეჩილაძეს (უმჩატესი წონა), საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ზ. ბერიაშვილს (მსუბუქი წონა) და ნ. გოგიბედაშვილს (ქვემძიმე წონა).

მსოფლიო ჩემპიონი ქვესაშუალო წონაში გ. სალარაძე, აგრეთვე ზ. მჭედლიშვილი (მჩატე წონა) პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ.



## ლვაწლმოსილი კოლექციონერი

ცენტრალურ ტელეხედვაში გამოსვლის დროს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ირაკლი ანდრონიკოვმა ძველი კურსკელი სპორტსმენი ი. დ. ბულგაკოვი ახსენა, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი კოლექციონერი.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ბულგაკოვი აგროვებს აფიშებს, საგაზეთო სტატიებს, უნიკალურ წიგნებს, ჟურნალებს, წერილებს. მის კოლექციაში ჯერ მხოლოდ მოჭიდავეთა 6 ათასზე მეტი ფოტოსურათია. ბევრ მათგანს თანდართული აქვს თბილი წარწერა — „სპორტის ძვირფას ისტორიკოსს. ივანე პოდუბნისაგან“. კოლექციონერს დღესაც კარგად ახსოვს სახელოვან მოჭიდავესთან შეხვედრების ცალკეული მომენტები.

ივანე ბულგაკოვს შეუძლია გესაუბროთ რუსეთის, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების მოჭიდავეთა შეხვედრებზე. იგი პირადად იცნობდა ხალიჩის ცნობილ ოსტატებს ნ. ვახტუროვს, ი. შემიაკინს, კ. შულცს, გ. კავანს, გ. გაკენშმიდტს, ი. ჩუფისკოვს. ბულგაკოვი დღესაც ფართო საერთაშორისო ფოსტას იღებს სპორტის ისტორიკოსს წერილებს უგზავნიან ინგლისიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან, რუმინეთიდან.

ძველი კოლექციონერი კლასიკური ჭიდაობის დიდი სპეციალისტია. იგი ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა შეჯიბრებებში. პროფესიით ივანე ბულგაკოვი ეკონომისტია. ხანდაზმულობის მიუხედავად (იგი 68 წლისაა) კოლექციონერი არ აცდენს თითქმის არც ერთ ცოტად თუ ბევრად საინტერესო შეჯიბრებას. თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად ივანე ბულგაკოვმა დაწერა წიგნი მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეებთან შეხვედრების შესახებ.

სურათზე: სპორტსკოლის მოსწავლეები ეცნობიან ლვაწლმოსილი კოლექციონერის ექსპონატებს.

ფოტო ი. სიზოვისა (საკდესი).

უკანასკნელი ფოსტიდან

## მასპინძლებმა პასუხი უნდა აგონ

პატივცემულო რედაქცია!

მე ვიყავი ხულიგანთა ჯგუფის აღმაშფოთებელი საქციელის მოწმე, რომლებიც ვაშლებს და ბოთლებს ესროდნენ მოედნიდან გაძევებულ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს ვ. ბარქაიას. ერთ-ერთი ბოთლი მოხვდა სათადარიგო სკამზე მჯდომ უდანაშაულო ადამიანს. დაზარალებულმა გონება დაკარგა. სტადიონზე ამგვარ ქცევას ღრმა ფესვები აქვს.

მთავარი მიზეზი — თვით მოთამაშენი არიან. საკმარისია „მოლდოვას“ რომელიმე ფეხბურთელმა მოახდინოს ტკივილის ინსცენირება, იმისდამიუხედავად, იყო თუ არა დარღვეული წესი, ტრიბუნებზე ატყდება ხოლმე ღრიანცელი, იწყება გინება მსაჯისა და მოწინააღმდეგე გუნდის მისამართით. მოლდაველი მოთამაშეები სიმულირებენ, დახმარებას შესთხოვენ მაყურებლებს. ასეთ საყვედურს ვერ ვიტყვი მხოლოდ ვ. კოლბასიუკზე, ვ. ვებერზე და ე. ლარინზე. ხოლო, რაც შეეხება ვ. ბოცანს, მასზე საგანგებოდ უნდა ითქვას. იგი გუნდის ყველაზე სუსტი მოთამაშეა და როცა ბურთისთვის „ბრძოლაში“ ჩაებმება, ჯარიმები „მოლდოვას“ მხარეს „პანტასავით ცვივა“.

დაბოლოს, მაყურებელზე. რესპუბლიკურ სტადიონზე ვერადროს ვერ გაიგონებთ ტაშს მსაჯის მიმართ, რომელმაც დააჯარიმა „მოლდოვა“, ან სტუმრების გუნდის რომელიმე მოთამაშის მისამართით, რაგინდ მაღალი ოსტატობა აჩვენოს მან.

არც მოლდავეთის ფეხბურთის ფედერაცია, არც მილიცია, არც სტადიონის დირექცია და არც ადგილობრივი პრესა არ ცდილობენ მაყურებლებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას. ამიტომ ხულიგნები აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი — წყალში.

ბოთლის მსროლელმა ხულიგნებმა რომ მოახერხეს დაუსჯელად მიმალვა, ამაში დანაშაული მიუძღვით, უპირველეს ყოვლისა, იმ პირებს, რომლებიც თავაშვებულთა გვერდით იყვნენ, და აგრეთვე მილიციის მუშაკებს.

წინადადებას გაძლევთ ჩამოართვათ „მოლდოვას“ თავის მოედანზე რამდენიმე მატჩის ჩატარების უფლება.

გ. პოლიაკოვი,
ინჟინერი.

კიშინიოვი.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლი“ № 20 (208). 1964 წ. 17-V.

## ნ. გაფრინდაშვილი კვლავ ლიდერია

სოხუმი, 18 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

VI ტურში ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილის შეხვედრა ბუცხრიკიძესთან. მსოფლიო ჩემპიონმა მისთვის ჩვეული ოსტატობით ჩაატარა პარტია და გამარჯვება მოიპოვა.

მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც დაამარცხა ბელავენეცი.

ალექსანდრია — კელერ-გერმანის, კარაკაშ — ნედელკოვიჩისა და ტეოდორესკუ — ასენოვას პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. რანიკუმ 44-ე სვლაზე დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბიკოვა.

დღეს, VII ტურში, დრამატულად წარიმართა ბიკოვა — ბუცხრიკიძის პარტია. ბიკოვა მთელი თამაშის მანძილზე ფლობდა ინიციატივას. მან მიიღო უკეთესი პოზიცია, მაგრამ უკანასკნელ 6 სვლაზე მხოლოდ ნახევარი წუთი დარჩა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვერ მოასწრო საკონტროლო სვლის გაკეთება და უკეთეს პოზიციაში გადააცილა დროს. ბიკოვას წაგება ჩაეთვალა.

გაფრინდაშვილმა ბელავენეცის წინააღმდეგ გაითამაშა რთული დებიუტი. მსოფლიო ჩემპიონის მეტოქემ თავი ვერ გაართვა საშიშ მუქარებს და 36-ე სვლაზე დანებდა.

ნედელკოვიჩმა დაამარცხა ალექსანდრია.

წარუმატებლად გაითამაშა დებიუტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა რანიკუმ კელერ-გერმანთან პარტიაში. მან დასაწყისშივე წააგო ჯერ ერთი პაიკი, შემდეგ — მეორე. გერმანელმა მოჭადრაკემ სახიფათოდ შეუტია რანიკუს მეფეს, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დანებებულიყო.

ამ ტურში გადაიდო ორი პარტია. ჩაიკოვსკაიას უარესი პოზიცია აქვს ტეოდორესკუსთან, ასენოვა — კარაკაშის პარტიაში პოზიცია თანაბარია.

7 ტურის შემდეგ ტურნირს დამაჯერებლად ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი გაფრინდაშვილი. მას აქვს 6,5 ქულა. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება ნედელკოვიჩი. მესამე-მეოთხე ადგილებს 4-4 ქულით იყოფენ კელერ-გერმანი და რანიკუ.

ხვალ გათამაშდება VIII ტური.

თ. გიორგაძე

## ჯილდოფრილი შუბი

ა. მანდაჯიევი

ერთი კარგი მეგობარი მყავდა — იური ბიკოვი.

მეცხრე კლასში სწავლისას სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად ყოფილი მძლეოსანი სიდოროვი მოვიდა. მისმა გამოცდილმა თვალმა მაშინვე შენიშნა იური და იგი მალე მისი საყვარელი მოსწავლე გახდა. იურიმ შუბის მტყორცნელობა აირჩია. ერთ წელიწადში მან ბევრით ვერაფრით წაიწია წინ. „ასეც უნდა, — თქვა სიდოროვმა, როცა იურის უკანასკნელი შედეგი ჩაწერა დღიურში, — იზრდება, როგორც მუხა“. გავიდა კიდევ ერთი წელი, მაგრამ იურიმ თავისი რეკორდი მხოლოდ რამდენიმე მეტრით გააუმჯობესა. მე უკვე მეეჭვებოდა მეგობრის წარმატება, მაგრამ თვითონ არ იტეხდა გულს. უნივერსიტეტში შესვლის შემდეგ იგი სტადიონის ხშირი სტუმარი გახდა.

... დაიწყო ომი, უწყებები ერთდროულად მივიღეთ. გამოვეთხოვე ჩვენიანებს და იურისთან გავიარე. ისიც მზად დამხვდა. კუთხეში მიგდებულ ზურგჩანთის გვერდით თავისი შუბი აეყუდებინა.

— აბა, გამოეთხოვე შენს შუბს და წამოდი, — ვუთხარი მეგობარს.

მან გაკვირვებით შემომხედა და გაეცინა.

— გგონია შემიძლია უშუბოდ წამოსვლა? რას ამბობ, მე ხომ უნდა ვივარჯიშო. განა რამდენ ხანს გასტანს ომი? ერთი ან ორი თვე. დავამარცხებთ ფაშისტებს და დავბრუნდებით.

არაფერი ვუთხარი, რადგან მივხვდი, რომ დედის გასაგონად ლაპარაკობდა.

მაგრამ რა სიცილი ატყდა ნაწილში, როდესაც ქვეგანაყოფის ზემდეგმა პირველად ნახა იურის შუბი.

— შენ, ეი, ამხანაგო! — დაიყვირა ქრისტემ (ეს სახელი მას ჩვენ შევარქვით), როცა შუბი ნახა, — ეს რა ჯოხია, ახლავე გადააგდე, თორემ მე თვითონ დავამტვრევ, იქნებ შურდულიც წამოიღე თან ბელურების მოსაკლავად?

— ეს შუბია, — მორიდებით უპასუხა იურიმ.

დაიწყო ფრონტული ცხოვრება, მომქანცველი ლაშქრობები, ბრძოლები. მაგრამ იური ვერ თმობდა თავის შუბს. მის თვალწინ ყოველთვის რეკორდის აღმნიშვნელი ალამი ფრიალებდა. მე ვინახავ მის საფრონტო დღიურს, რომელსაც ყოველთვის გულისჯიბეში ატარებდა. გადავშალოთ ეს სისხლით მოსვრილი ფურცლების ნაგლეჯები...

### მოთხრობა

„დღეს, 1942 წლის 29 მარტია. თოვლი დნება. თითქმის მთელ საათს ვვარჯიშობდი. ძალიან უკმაყოფილო ვარ ჩემი თავით, რატომღაც ფეხები მებლანდება. ტყორცნა კარგია, შედეგი — 62 მეტრი. 31 მარტი. კარგად დავამუშავე ნაბიჯები, მხოლოდ ბოლოს ვტყორცნე რამდენჯერმე, როცა უკანასკნელად მივდიოდი შუბის ასაღებად, მახლობლად ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების სროლის ხმა გაისმა, სწრაფად გავწექი მიწაზე და ხოხვით გავწიე წინ. და, როგორც იტყვიან, ფაშისტების ცხვირწინ ამოვგლიჯე ჩემი შუბი. 7 მაისი. შესანიშნავი დროა გაზაფხული. წარმატებებს ვაღწევ, თუ საშუალება მექნება რეგულარულად ვივარჯიშებ...“

აქ დღიური უეცრად წყდება...

ერთხელ ჩვენი ასეული ნახევრად დანგრეულ სოფელში იდგა, სხვა ნაწილებისაგან მოშორებით. ფრონტის ხაზი თანდათან წინ მიიწევდა. იური დილით ადრე მიდიოდა ტყეში სავარჯიშოდ. ერთხელ მეც გავყევი.

— ხედავ! — დინჯად მითხრა იურიმ, — შუბი გორაკს რომ გადაავცილო, ჩვენი სახლის ეზოში დაეცემა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკავშირო რეკორდს მოვხსნი.

— საიდან იცი? — ვკითხე გაკვირვებით.

— აი, — და დარცხვენილმა ჯიბიდან ამოიღო ისეთი მეტრი, მკერავები რომ ხმარობენ. — უკვე გავზომე, მხოლოდ სულ ცოტა მაკლია. ოღონდ ამ მეტრის შესახებ არაფერი თქვა ამხანაგებთან, გასაგებია?...

* * *

... ზემდეგის ყურთან რაღაცამ გაიწუილა და მიწაში ჩაესო. შუბი ცოცხალ არსებასავით ქანაობდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. ზემდეგმა გაკვირვებით აიჩეჩა მხრები და მუქარით გაიხედა ტყისკენ.

— მოიცათ, აქ სხვა ამბავია! — შეაწყვეტინა ქრისტეს სიტყვა ერთმა ჯარისკაცმა და შუბის ტარისაკენ მიუთითა. ყველამ დავინახეთ, რომ შუბი გაჭრილი იყო შუაზე და შიგ დაკეცილი ქაღალდი მოჩანდა.

— ყურადღება, ვკითხულობ, — თქვა წყნარი ხმით ზემდეგმა, — „ძმებო, გერმანელები გესხმიან თავს ტყის მხრიდან. აიღეთ იარაღი! ყველა წამი ძვირფასია. იური“.

ქაღალდი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველა დაიბნა, ვერავინ ვერ გამორკვეულიყო. პირველი მაინც ზემდეგი მოვიდა გონს და ბრძანება გასცა მოვემზადებულიყავით საბრძოლველად და მისი ნიშნისათვის დაგვეცადა. უეცრად სიჩუმე დაარღვია სტვენამ, ამას კი მოჰყვა ჩვენი ტყვიამფრქვევისა და თოფების სროლის ხმა. „ვაშას“ ყვირილით გადავედით შეტევაზე. გერმანელები არ მოელოდნენ ასეთ უეცარ თავდასხმას და უწესრიგოდ გარბოდნენ უკან. ოფიცერი რევოლვერით ხელში ცდილობდა მათ შეჩერებას, მაგრამ ჩვენმა ტყვიამ განგმირა იგი.

ნახევარი საათის შემდეგ ეზოში კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ იური არ დაბრუნებულა. იგი მკვდარი ვიპოვეთ იმ ადგილას, საიდანაც შუბს ტყორცნიდა...

იური შიშის გრძნობით კვდებოდა, მან არ იცოდა მიაღწევდა თუ არა მისი ნატყორცნი შუბი ეზომდე, მან ხომ აქამდე ვერ შეძლო ამ მანძილის დაძლევა. მომაგონდა მისი სიტყვები: „რეკორდამდე მხოლოდ ხუთი მეტრიღა მაკლია“.

იურის ჯიბიდან ამოვიღეთ მკერავის მეტრი და გავზომეთ მანძილი: 69 მეტრი და 80 სანტიმეტრი — ახალი საკავშირო რეკორდი.

ახლა ამ ადგილას დგას ჟამთასვლისაგან გაშავებული პალო, რომელიც ზემდეგმა ქრისტემ ჩაასო.

თარგმანი პ. ვახაძისა.

## მ. გ. ბექანიშვილი

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გიორგი ნიკოლაძის თანამებრძოლი, მყინვარწვერზე პირველი საბჭოთა ასვლის (1923 წ.) და იალბუზის პირველი მასობრივი დალაშქვრის (1925 წ.) მონაწილე, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი მარიამ გრიგოლის ასული ბექანიშვილი.

მ. ბექანიშვილი დაიბადა 1905 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1922 წელს დაამთავრა თბილისის X პედაგოგიური ტექნიკუმი და შეუდგა ფიზიკური აღზრდის პედაგოგის საქმიანობას. პარალელურად სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1922 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დაუღალავად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. 1933-1939 წლებში მონაწილეობდა ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

მ. ბექანიშვილის სპორტულ ბიოგრაფიაში მთავარი ადგილი მაინც ალპინიზმს უკავია. 1923 წლიდან უკანასკნელ დრომდე იგი მონაწილეობდა მთელ რიგ ასვლებში კავკასიონის მწვერვალებზე და ალპინიადებში. იგი დაჯილდოებული იყო ნიშნით „ფიზიკური აღზრდის წარჩინებული“.

მ. ბექანიშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავმდაბლობით და გულითადობით, ყოველთვის, საჭირო დროს, ამხანაგს გზას დაუთმობდა, დაეხმარებოდა, რომ მისი ნაბიჯი უფრო მტკიცე ყოფილიყო. იგი პირად მაგალითს აძლევდა დიდსა და პატარას შრომისა და სპორტისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში.

მ. გ. ბექანიშვილის — ჩუმი, თავდადებული მოღვაწის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მის კოლეგებსა და ამხანაგებში.

საქართველოს მთასვლელოგის ფედერაცია.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრა.

### სხვათა შორის

## აი, ეს გაფრენაა!..

რამდენი მეტრი შეუძლია „იფრინოს“ ფეხბურთის ბურთმა დარტყმის შემდეგ? დაახლოებით 60-70 მეტრი.

მაგრამ ამას წინათ ინგლისში დამყარებულ იქნა არაჩვეულებრივი „რეკორდი“. ზღვისპირა ქალაქ საუტგემპტონში ერთ-ერთი მცველის. მიერ დარტყმულმა ბურთმა გადაუარა სტადიონის ტრიბუნებს და საბარგო მანქანის ძარაში ჩავარდა. მანქანა ნავსადგურში მივიდა, ბურთი გემზე „მოთავსდა“ და რამდენიმე ხნის შემდეგ მან... ავსტრალიაში ამოჰყო თავი.

ინგლისელები ფიქრობენ, რომ ეს „რეკორდი“ სამუდამოდ ხელუხლებელი იქნება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01208